რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 369/თ

„16“ სექტემბერი, 2020 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის თაობაზე“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 31 ივლისის №293/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 15 სექტემბერს რეკომენდაციები დაამტკიცა. იმის გათვალისწინებით, რომ „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის თაობაზე“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 31 ივლისის №293/თ ბრძანებაში გათვალისწინებულია რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომელიც დღეის მდგომარეობით მოქმედია, მიზანშეწონილად მიმაჩნია მხოლოდ ცვლილებები შევიდეს მითითებულ ბრძანებაში.

რუსთვის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების დანართი №1 და დანართი №3-ით გათვალისწინებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის “გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცვლილება შევიდეს „რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის თაობაზე“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 31 ივლისის №293/თ ბრძანებაში:

   ა) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   6. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა ***მისაღები განყოფილების თანამშრომლებს, მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს და კანცელარიაში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ პირებს,*** სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაევალოთ მოქალაქესთან უშუალო კომუნიკაციისას, ნიღბებთან ერთად, ხელთათმანების და სახის დამცავი ფარის ან დამცავი სათვალეების ტარება სასამართლოს შენობაში;

ბ) ბრძანების მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8[1] პუნქტი:

8[1]. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების კანცელარიის მისაღებთან *განთავსდეს სპეციალური ყუთი.* კორესპონდენციების წარმოდგენისას, სასამართლოს მომხმარებლებს მიეცეთ რეკომენდაცია წერილობითი დოკუმენტები (განცხადება, საჩივარი, სარჩელი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვ.) განათავსონ სპეციალურ ყუთში. სასამართლოს მომხმარებლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ან/და დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაში რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს კანცელარიის სპეციალისტებმა წარმოდგენილი დოკუმენეტები მიიღონ მათ სამუშაო სარკმელზე განთავსებული სპეციალური დამცავი ბარიერის მეშვეობით. კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის მიერ განსაზღვრულმა კანცელარიის თანამშრომლმა უნდა უზრუნველყოს სპეციალურ ყუთში განთავსებული დოკუმენტაციის ამოღება 2 საათიანი ინტერვალით და მოახდინოს საერთო წესით რეგისტრაცია და განაწილება. კანცელარიის თანამშრომელი ვალდებულია, სამოქალაქო საქმეებზე სარჩელის წარმომდგენ პირს მიუთითოს, რათა სარჩელის ფორმაში სავალდებულოდ აღნიშნონ მოსარჩელის ელ.ფოსტა.

გ) ბრძანების მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

16. *რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მანდატურებს დაევალოთ,* უზრუნველყონ მოქალაქეთა მისაღებში სასამართლოს მომხმარებელთა რაოდენობის შეზღუდვა: რუსთავის საქალაქო სასამართლოში - 10 ერთეულამდე, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში - 5 ერთეულამდე. დაშვებული მოქალაქეები განთავსდნენ ფოიეში არსებულ დისტანციის აღმნიშვნელ ნიშნულებზე.

დ) ბრძანების მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

18. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე 2 მეტრიანი დისტანციის შემცირება დასაშვებია სხდომის დარბაზის ფართის გათვალისწინებით (არანაკლებ 1.5 მეტრამდე). იმ შემთხვევაში, თუ ერთ დარბაზში შეუძლებელი იქნება გამოცხადებულ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატთა განთავსება, სხდომის წარსამართად გამოყენებულ იქნეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს დარბაზებს შორის დისტანციური ჩართვის შესაძლებლობა.

ე) ბრძანების მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

19. *ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომისთვის:* ა) სხდომის დარბაზების წინ განთავსდეს სარეგისტრაციო მაგიდები (ერთ პირზე, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს პირბადით, დამცავი ფარით და დამცავი ხელთათმანებით), სადაც უნდა მოხდეს გამოცხადებულ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატთა რეგისტრაცია; ბ) ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს რეგისტრაციის გავლის შემდეგ დარბაზში შეყვანამდე დაუმუშავდეს ხელები სადეზინფექციო ხსნარით; გ) იმ შემთხვევაში, თუ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატს აღენიშნება კორონა ვირუსისთვის დამახასიათებელი ნიშნები, აღნიშნულის თაობაზე №1 საგუშაგოს მანდატურმა დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასამართლოს მენეჯერს და სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში, ამასთან იმოქმედოს ბრძანების მე-14 პუნქტის შესაბამისად; დ) სასამართლოს შენობის ფოიეში გამოცხადებულ კანდიდატებთან შეხვედრა და დახმარება სარეგისტრაციო მაგიდამდე მისვლაში მოახდინოს *№1 საგუშაგოს და სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულმა მანდატურმა,* რომლებიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ პირბადეებით და დამცავლი ხელთათმანებით; ე) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობისას დარბაზებში უნდა იმყოფებოდნენ სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში ზურაბ ჭაჭაშვილი, ასევე კონკრეტულ დღეს შედარებით ნაკლები დატვირთვის

მქონე მოხელე მოსამართლის შემადგენლობიდან, რომლებიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ პირბადეებით, დამცავი ხელთათმანებით და დეზინფექტატორებით; ვ) დარბაზებში განსაზღვრულმა პირებმა უზრუნველყონ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებისთვის მიკროფონის მიწოდება და მიწოდებამდე მისი დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით (სადეზინფექციო ხსნარით დასველებული ჩვრით); ზ) საჭიროების შემთხვევაში, დარბაზებს შორის ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა გადაყვანა უზრუნველყოს შესაბამის დარბაზში გამწესებულმა მანდატურმა; თ) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მიმდინარეობისას სხდომის დარბაზის ფანჯრები უნდა იყოს ღია მდგომარეობაში. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე ორგანიზაციული საკითხების განუხრელად შესრულებაზე *კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს გურამ კორკოტაშვილს, მანდატურის სამსახურის უფროსს გია გიგოლაშვილს და ქსელის ადმინისტრატორს ნელი უფლისაშვილს;*

ვ) ბრძანების 30-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

30. რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარ კოსულტანტებს - მოსამართლის თანაშემწეებს მიეცეთ უფლება, სამუშაო შეასრულონ დისტანციურად, რაც არ გულისხმობს სამუშაო საათების შემცირებას ან შვებულებაში გაშვებას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური შრომის რეჟიმში მყოფი თანამშრომელი ვალდებულია მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სამსახურში;

ზ) ბრძანების 39-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 39[1] პუნქტი:

39[1]. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოების თანამშრომლებმა გადადონ სასამართლოში დაგეგმილი საჯარო ღონისძიებები, შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები, მოქალაქეთა მიღებები, ასევე სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს თანამშრომლებს;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე